ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეწინავეთა კავშირი

საზღვარგარეთ
სამუშაოდ მიდიხარ?!

არ გაქვს
სამუშაო ვიზა?!

არ იცი, როგორ დაიცვა
შენი უფლებები?!

მაშინ, ეს ბუკლეტი შენთვისაა,

წაიკითხე ყურადღებით!

ინფორმირებული ადამიანი
ყოველთვის დაცულია!

საქართველოდან მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში გადადის სეზონური სამუშაოსთვის. არალეგალურად დასაქმებულები იქ ბევრ პრობლემას აწყდებიან. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოქალაქეები ვერ იღებენ ანაზღაურებას და დეპორტაციისა თუ ჯარიმის შიშით, საქართველოში ხელცარიელი ბრუნდებიან.

უფლებების დარღვევა და არასათანადო პირობებში მუშაობა შრომითი მიგრანტებისთვის ყოველდღიური რეალობაა. ამის უპირველესი მიზეზი კი, საკუთარი უფლებების დაცვისთვის აუცილებელი საშუალებების არცოდნაა.

თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ?

იშრომეთ და ვერ მიიღეთ შესაბამისი ანაზღაურება?

გახსოვდეთ, არავის აქვს უფლება გამუშაოთ და გაწეული მომსახურება სრულად არ აგინაზღაუროთ!

თქვენი უფლებების დაცვა ისევე ხელმისაწვდომია თურქეთში, როგორც საქართველოში.

საინფორმაციო ბუკლეტი გამოიცა პროექტის - „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ:

- ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
- ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“
- დემოკრატიის ინსტიტუტი.

თქვენი უფლებების დასაცავად შეგიძლიათ მიმართოთ თურქეთის სასამართლოს!

თურქეთშიც ისევეა ხელმისაწვდომი სასამართლო, როგორც საქართველოში.

✗ **ვფიქრობ, რომ თურქული სასამართლო თურქეთის მოქალაქის ინტერესებს უფრო მეტად დაიცავს.**

✓ თურქეთის სახელმწიფოსთვის არალეგალების თურქი დამსაქმებელი უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე არალეგალი ქართველი დასაქმებული. სასამართლო სამართლიანად განიხილავს თქვენს საქმეს, მიუხედავად მოქალაქეობისა და ეროვნებისა.

✗ **სასამართლო დავა ბევრ თანხასთანაა დაკავშირებული, რასაც ვერ გავწვდები.**

✓ თურქეთში, საქართველოს მოქალაქეები გათავისუფლებული არიან საგარანტიო თანხის შეტანისგან. გადასახდელია მხოლოდ სახელმწიფო ბაჟი, რაც ნიშნავს იმას, რომ თურქეთში სასამართლო დავა არ დაგიჯდებათ საქართველოს სასამართლოში დავაზე მნიშვნელოვნად ძვირი.

✗ **სასამართლო ჩემი არალეგალური მუშაობის შესახებ შეატყობინებს სამართალდამცავ ორგანოებს.**

✓ თურქული სასამართლო დავებს განიხილავს მხოლოდ იმ ჭრილში, რაც ეხება სადავო საგანს. მას არ გააჩნია არალეგალურად დასაქმების შესახებ შეტყობინების ვალდებულება და შესაბამისად, არც ატყობინებს ჟანდარმერიას ან სხვა ორგანოებს.

✗ **სასამართლოზე ვერ დავამტკიცებთ ჩვენს სიმართლეს.**

✓ თურქულ სასამართლოს გააჩნია შესაბამისი მექანიზმები ფაქტების დასადგენად. სპეციალურად დანიშნული ექსპერტის საშუალებით თქვენ შეძლებთ სიმართლის დამტკიცებას.

გახსოვდეთ! სასურველია შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. თანდართული შრომითი ხელშეკრულების ფორმა არის უმარტივესი, ინახება მხოლოდ თქვენთან და დამსაქმებელთან და არ წარმოშობს რაიმე გადასახადის გადახდის ვადებულებას.

ხელშეკრულების გაფორმება საჭიროა შემდეგი მიზეზების გამო:

- ხელშეკრულების არსებობისას თქვენ გაგიადვილდებათ სასამართლოში სიმართლის ან/და დასაქმების ფაქტის დამტკიცება;
- დამსაქმებელს, რომელიც უარს ამბობს მსგავსი ხელშეკრულების დადებაზე, სავარაუდოდ განზრახული აქვს ანაზღაურების არ, ან არასრულად გადახდა;
- შრომით ხელშეკრულებაში ფიქსირდება დამსაქმებლის სახელი, გვარი, მისამართი და პირადი ნომერი. ამ ინფორმაციას აუცილებლად უნდა ფლობდეთ;
- თუ თურქეთში გადადიხართ ჯგუფთან ერთად, სასურველია საზღვარზე გადასვლამდე ჯგუფის წევრებმა გააფორმოთ ხელშეკრულება ჯგუფის ხელმძღვანელთან, ხოლო თურქეთში - ჯგუფის ხელმძღვანელმა დამსაქმებელთან.

დამსაქმებელი მემუქრება, რომ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში, ჩემი არალეგალური მუშაობის შესახებ შეატყობინებს სამართალდამცავებს.

სინამდვილეში, თუ სამართალდამცავი ორგანოები ამას შეიტყობენ, დამსაქმებელი დაისჯება ათმაგად. თუ არალეგალურად დასაქმებულისთვის ჯარიმა შეადგენს 900 ლირას, დამსაქმებელი დაჯარიმდება 9 000 ლირით თითოეულ დასაქმებულზე. ასე რომ, თქვენ უსაფუძვლოდ გემუქრებიან, მხოლოდ და მხოლოდ დაშინების მიზნით.

დამსაქმებელი გვამუშავებს დღე-ღამეში 8 საათზე მეტს, ანაზღაურების გარეშე.

თურქული კანონმდებლობით აკრძალულია 8 საათზე მეტი ხნით დასაქმებულის მუშაობა.

თუ თქვენი სამუშაო დღე გრძელდება უფრო მეტ ხანს, უფლება გაქვთ მოითხოვოთ დამატებითი ანაზღაურება საათობრივად. ასეთი ანაზღაურება უნდა იყოს ჩვეულებრივ ანაზღაურებაზე მეტი. დამსაქმებელი ვალდებულია აგინაზღაუროთ დამატებითი საათები.

დამსაქმებელმა საცხოვრებლად გამოგვიყო ფართი, სადაც გაუსაძლისი პირობებია, გვეპყრობა უპატივცემულოდ, უხეშად გვაყენებს შეურაცხყოფას, არ გვაძლევს შესვენების საშუალებას.

ეს ფურცელი შეგიძლია ამოიღო
და გამოიყენო
ხელშეკრულების გაფორმებისთვის

Şehir: _____ Tarih:___ / _____ /201___

ქალაქი: თარიღი:

İŞ SÖZLEŞMESİ / შრომითი ხელშეკრულება

İşveren: _____

დამსაქმებელი: _____

Adı; Soyadı: _____
სახელი-გვარი:

Kimlik Numarası: _____
პირადი ნომერი:

Adres: _____
მისამართი:

Çalışan: _____

დასაქმებული: _____

Adı; Soyadı: _____
სახელი-გვარი:

Kimlik Numarası: _____
პირადი ნომერი:

Adres: _____
მისამართი:

yapılacak iş: _____
შესასრულებელი საქმიანობა/გასაწევი მომსახურეობა:

Günlük çalışma saatleri: _____ saat _____
დღიური სამუშაო საათების ოდენობა: საათი

Sözleşmenin geçerlilik süresi: _____
ხელშეკრულების ვადა:

Maaş:
ანაზღაურება:

☐ Saatlik ücreti:
საათობრივი ანაზღაურება: _____

☐ Günlük ücreti:
დღიური ანაზღაურება: _____

☐ Aylık ücreti:
თვიური ხელფასი: _____

Kazanılan ücret (Fazla mesai, saatlik mesai):
გამომუშავებული ხელფასი (ზეგანაკვეთური, საათობრივი): _____

Ek Koşullar:
დამატებით პირობები: _____

İşveren :
დამსაქმებელი:

Adı; Soyadı/სახელი-გვარი _____

Imza / ხელმოწერა _____

Çalışan:
დასაქმებული:

Adı; Soyadı/სახელი-გვარი _____

Imza / ხელმოწერა _____

ეს ფურცელი შეგიძლია ამოიღო
და გამოიყენო
ხელშეკრულების გაფორმებისთვის

გახსოვდეთ! მიუხედავად იმისა, ლეგალურია თუ არა თქვენი შრომა, არავის აქვს უფლება შელახოს თქვენი ღირსება! თუ თქვენ გექცევიან უპატივცემულოდ, გაყენებენ შეურაცხყოფას, გაცხოვრებენ ისეთ შენობაში სადაც არ არის საცხოვრებლად ვარგისი პირობები, არ გაქვთ ნორმალური საწოლი, მუშაობისას არ გაქვთ შესვენების უფლება ან დამსაქმებელი არ გაძლევთ საკმარის საკვებს, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ მორალური ზიანის ანაზღაურება. თურქეთის სასამართლო უმეტეს შემთხვევაში აკმაყოფილებს მსგავს მოთხოვნას.

ჩემთან მოვიდა თურქეთის მოქალაქე და მთხოვა თანხის სანაცვლოდ საზღვარზე ავტომობილის გადაყვანა.

არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ!

საზღვარზე დაბრუნებისას თქვენ მოგთხოვენ მანქანას, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერ დააბრუნებთ და ეს ქმედება ჩაგეთვლებათ ავტომობილის კონტრაბანდად. ასეთ დროს თქვენ დაგაკავებენ და პასუხს გაგებინებენ სისხლის სამართლის წესით.

საქართველოში გადმოსვლისას თანამოქალაქეებს ხშირად ვეხმარები სხვადასხვა ბარგის გადმოტანაში.

არასოდეს დათანხმდეთ საზღვარზე სხვისი ბარგის ან ნივთის გადმოტანას!

თქვენ შეიძლება აღმოჩნდეთ საზღვარზე ნარკოტიკული ნივთიერების გადმოტანის - განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის თანამონაწილე.

თურქეთში მუშაობისას მივიღე ტრავმა, გაუარესდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა...

დამსაქმებელი ვალდებულია შეგიქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეირყა, შეგიძლიათ მოითხოვოთ შესაბამისი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მკურნალობის ხარჯებს. თუ ჩატარებული მკურნალობა სრულად ვერ აღადგენს თქვენს ჯანმრთელობას, კომპენსაციის ოდენობა უნდა გაიზარდოს. ამასთანავე, თუ თურქეთის ტერიტორიაზე მუშაობისას საქართველოს მოქა-

ლაქე გარდაიცვალა, მის ოჯახს უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაციის სახით სოლიდური თანხა.

თურქეთში მიღებული ანაზღაურება არ გვყოფნის, ამიტომ საზღვარზე გადაგვაქვს ალკოჰოლი ან სიგარეტი, დამატებითი შემოსავლის მისაღებად.

საზღვარზე თამბაქოს ნაწარმის, სიგარის ან ალკოჰოლური სასმელების არალეგალური გადატანა წარმოადგენს კონტრაბანდას. კონტრაბანდა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით დასჯადი დანაშაული. ასეთ დროს, თქვენ გემუქრებათ არა მხოლოდ ჯარიმა და დეპორტაცია, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოშიც. ასეთი შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში, შეიძლება საქართველოში გამოიგზავნოს თქვენ მიმართ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, დიდი ოდენობით ჯარიმის დაკისრების ან პატიმრობის მოთხოვნით. საქართველო ვალდებულია აღასრულოს ასეთი განაჩენი.

რა უნდა ვიცოდეთ!

კონტრაბანდა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, სოლიდურ ჯარიმას და ზოგიერთ შემთხვევაში ითვალისწინებს 30 თვემდე თავისუფლების აღკვეთას.

ავტომობილით კონტრაბანდული საქონლის გადატანისას (ან მოდიფიცირებული ბენზინის ავზიანი ავტომობილით გადასვლისას) მოხდება ავტომობილის ჩამორთმევა და სპეციალურ სადგომზე გადაყვანა, ხოლო ერთი თვის შემდგომ, იგი გაიყიდება აუქციონზე.

დეპორტირებული ვარ თურქეთის რესპუბლიკიდან, როგორ მოვიქცე?

სამწუხაროდ ასეთი შემთხვევა ხშირია!

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გაქვთ საზღვრის კვეთის 90 დღიანი ვადა. არ დაარღვიოთ იგი ან არ გამოიყენოთ ბოლო დღემდე.

დეპორტაციის გასაჩივრება შესაძლებელია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში დეპორტაციის გაუქმებისათვის აუცილებელია ჯარიმის გადახდა. ამასთანავე, თუ აუცილებლად გჭირდებათ თურქეთში გადასვლა, თურქეთის საკონსულოში თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ვიზა და კანონიერად გადაკვეთოთ თურქეთის საზღვარი.

თუ შენ ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდი,
ნუ დაუჯერებ მათ, ვინც გაშინებს, გემუქრება,
გეუბნება, რომ დამნაშავე ხარ და
ვერავინ დაგეხმარება!

თამამად გადადგი ნაბიჯი დახმარების მისაღებად!

ბევრი ორგანიზაცია მზად არის დაგეხმაროს
შენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ!

ხმა მიაწვდინე მათ!

წარმატებებს გისურვებთ!

ვის შეიძლება მივმართო, თუ ჩემი უფლებები დაირღვა თურქეთის ტერიტორიაზე?

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ:

საქართველოში:

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“
მის.: საქართველო, ბათუმი, ფიროსმანის ქ. 18ა
ტელ.: +995 592 57 18 00, 593 58 54 84
E-Mail: info@intellect.org.ge

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისებს საქართველოში (IOM Mission to Georgia):

თბილისი:
მის.: საქართველო, თბილისი, თ. აბულაძის ქ. 19
ტელ.: +995 32 225 22 16
E-mail: iomtbilisi@iom.int
უსაფრთხო მოგრაციის ცხელი ხაზი: +99532 291 34 61

ბათუმი:
მის.: საქართველო, ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 63
ტელ.: 0422 22 88 83; (+995 77) 52 00 15

თურქეთში:

საქართველოს გენერალურ საკონსულოს ქალაქ ტრაპიზონში
მის.: ქ. ტრაპიზონი, თურქეთი, ორთაჰისარის უბანი, პერტევ ფაშას ქ. 10
ტელ.: +90 462 326-22-26 / +90 462 323-13-43
E-mail: trabzon.con@mfa.gov.ge

საქართველოს გენერალურ საკონსულოს ქალაქ სტამბოლში
მის.: ქ. სტამბოლი, Sümbül sokak N17, Levent, Beşiktaş-İstanbul
ტელ.: +(90 212)270-02-61
E-mail: istanbul.con@mfa.gov.ge

თურქეთის რესპუბლიკის მიგრაციის სამსახურის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრი YiMER 157.
აქ საუბრობენ თურქულად, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, რუსულად, არაბულად.
ტელ.: +90 312 157 11 22

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისებს თურქეთში (IOM Mission to Turkey):

ანკარა:
Birlik Mahallesi Sehit Kurbani Akboga Sokak No:24 Yasam Hastanesi Yani Çankaya Ankara. Türkiye
Tel:+90 (312) 454 30 00 - 01
E-mail: ankmission@iom.int

სტამბოლი:
Address: Barbaros Bulvari Orhan Birman Is Merkezi Kat:2 No:149 Balmumcu/ Besiktas- Istanbul, Turkey
Tel:+90 (212) 293 50 00
E-mail: iomistanbul@iom.int